

# კინგის ქართული ენის ოლიმპიადა - I ტური

## X კლასი

### I სავარჯიშო – ტექსტის გააზრება შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ, ან გ (20 ქულა)

#### ფარნავაზი (ლევან სანიკიძე)

- ერთხელ ნადირობისას ფარნავაზი გამოქვაბულს წააწყდა, რომელიც აურაცხელი ოქრო-ვერცხლით იყო სავსე. ხუთი დღის განმავლობაში ფარნავაზს, მის დებს და დედას, ყველასგან საიდუმლოდ და შეუმჩნეველად გამოჰქონდათ საგანძური გამოქვაბულიდან და მარჯვე ადგილას ინახავდნენ.
- როცა ეს საქმე მოათავა, ფარნავაზმა თავისი მსახური აფრინა დასავლეთ საქართველოში და ეგრისის მაშინდელ ერისთავს, ქუჯის შეუთვალა „მე ვარ ფარნავაზი, შენი ნათესავი ქართველი, შენებრ ქართლოსის შთამომავალი, ხელთ მაქვს დიდძალი ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. მომეცი ნება, მოვიდე შენთან და ერთიანი ძალით შევებათ აზონ ერისთავს.“
- ქუჯიმ ისიც კი განსაზღვრა, ვინ უნდა ყოფილიყო გაერთიანებულ ქართველთა ბელადი და „უფალი“. მან ფარნავაზს უთხრა: „თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველები არიან, ამიტომ შენ გამართებს უფლობა ჩვენი. ახლა წადი, ნუ დაიშურებ ხვასტაგს შენსა და ამრავლე ლაშქარი. შემდეგ ღვთის შეწევნით გავიმარჯვებთ.“
- ფარნავაზმა დაიპყრო მცხეთა და სრულიად ქართლი და შეუდგა კლარჯეთისაკენ სამარსამზადისს. მან ძღვენი გაუგზავნა და შემწეობა სთხოვა სირიის მაშინდელ ხელმწიფეს ანტიოქე I სოტერს. მან ფარნავაზს შვილი უწოდა. ფარნავაზი დაიძრა არტანუჯისკენ. ბრძოლა მოხდა ქაჯთა ქალაქის მახლობლად, რომელიც ფარნავაზის გამარჯვებით დამთავრდა. ეს ამბავი მოხდა ქრისტეს შობამდე IV-III საუკუნეში.
- ოცდაშვიდი წლის ფარნავაზმა განახორციელა ადმინისტრაციული რეფორმა. საქართველო დაყო საერისთავოებად, სულ იყო რვა საერისთავო, რომელთაც სათავეში ერისთავები ჩაუყენა.
- ფარნავაზს ცოლად ჰყავდა ჩრდილო კავკასიელი დურძუკთა ბელადის ასული, ხოლო დათაგან ერთი ოვსთა მეფეს, მეორე კი – ერთგულ ქუჯის მიათხოვა. ფარნავაზმა კედელ-ზღუდეებით გაამაგრა სატახტო ქალაქი მცხეთა და მისი აკროპოლისი არმაზ-ციხე, სადაც აღმართა კერპი არმაზ. 65 წელიწადი იმეფა ფარნავაზმა და მიიცვალა შობითგან 92 წლისა.

#### 1) რას წააწყდა ფარნავაზი ნადირობის დროს პირველი აზრის მიხედვით?

- ა) ოქრო-ვერცხლით სავსე გამოქვაბულს;
- ბ) სიმდიდრით სავსე ორმოს;
- გ) ტყეში დამალულ ოქრო-ვერცხლს;

#### 2) რამდენი დღის განმავლობას ეზიდებოდნენ განძს ფარნავაზი, მისი დები და დედა?

- ა) მთელი კვირის
- ბ) ხუთი დღის
- გ) ერთი თვის

#### 3) მეორე აზრის მიხედვით ვინ არის ეგრისის მაშინდელი ერისთავი?

- ა) ქუჯი
- ბ) აზონი
- გ) სამარა

#### 4) რას ნიშნავს სიტყვა „ხვასტაგი“?

- ა) ოქრო
- ბ) ფული
- გ) განძი

#### 5) რა არის მესამე აზრის მთავარი სათქმელი?

- ა) გაერთიანებულ ქართველთა „უფალი“ გახდა ფარნავაზი;
- ბ) ქუჯის მიერ გაგზავნილი წერილი;
- გ) „ხვასტაგი“ არ დაიშუროს ჯარის შესაქმნელად;

#### 6) მეოთხე აზრის მიხედვით რა უწოდა სირიის მაშინდელმა ხელმწიფემ ფარნავაზს?

- ა) ძმა
- ბ) მეგობარი
- გ) შვილი

7) ვინ იყო ანტიოქე I სოტერი ?

ა) სირიის ხელმწიფე ბ) ასურეთის მმართველი გ) ქართლის ერთ-ერთი უფლისწული

8) მეხუთე აბზაცის მიხედვით რამდენი საერისთავო იყო მაშინდელ საქართველოში?

ა) შვიდი ბ) ხუთი გ) რვა

9) რომელ საუკუნეში ხდება ტექსტში აღწერილი ამბავი?

ა) V-VI საუკუნეში;  
ბ) ქრისტეს შობამდე IV-III საუკუნეში;  
გ) ჩვენი წელთაღრიცხვით III- IV საუკუნეში;

10) რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?

ა) მკითხველს გააცნოს ფარნავაზის ცხოვრება და მოღვაწეობა;  
ბ) ისაუბროს აზონის შესახებ;  
გ) ისაუბროს სამარას ცხოვრების შესახებ;

## II სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ,ან გ (20 ქულა)

11) ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაზეოლოგიზმი შეესაბამება წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას?

*„კრებაზე მასწავლებელმა ერთ-ერთი მოსწავლე სანიმუშო ქცევისა და კარგი სწავლისათვის ძლიან შეაქო.”*

ა) ცამდე აიყვანა ბ) ნემსის ყუნწში გაამკვრინა გ) წელი გაამართვინა

12) ჩამოთვლილთაგან რომელია წინადადებაში ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი?

*„ბევრი ფიქრის დრო არ გვრჩებოდა, განსაცდელი კარს გვადგა.”*

ა) უხვი ბ) ცოტა გ) მომცრო

13) რომელი სიტყვა არ არის უმაქნისის სინონიმი?

ა) უქნარა ბ) უნიათო გ) უპატრონო

14) შემოხაზეთ მოცემული ფრაზეოლოგიზმის მართებული მნიშვნელობა: „ჭიპი აქ მომიჭრია“-

ა) აქ დავბადებულვარ. ბ) აქ დავჭრილვარ. გ) აქ არ ვყოფილვარ.

15) აირჩიეთ სტილისტურად მართებული ფორმა: კიტრში ნაკლები .....

ა) ვიტამინია მოთავსებული ბ) ვიტამინია შეზავებული გ) ვიტამინია

## III სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ,ან გ (60 ქულა)

16) როგორ იკითხება შემოკლებული ე.წ. ?

ა) ესე წოდებული ბ) ეგრეთ წოდებული გ) ეგრედ წოდებული

17) რომელია მარტივი სიტყვა?

ა) ბიძა ბ) შვილიშვილი გ) მამიდა

18) რამდენი ბრუნვა აქვს ნართანთან მრავლობითს?

ა) ხუთი ბ) სამი გ) შვიდი

19) მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

*„დანიშნულ დროს ცოტნე დადიანი გამოცხადდა ... ჯარით.”*

ა) მისი ბ) თავიანთი გ) თავისი

20) რა სახის სინტაქსური ურთიერთობაა ხაზგასმული სინტაქსური წყვილის წევრებს შორის?

*„ზვიგენის სისხლი ჩადიოდა ზღვაში.”*

ა) შეთანხმება ბ) მირთვა გ) მართვა

21) რამდენი სასვენი ნიშანია გამოტოვებული მოცემულ წინადადებაში?

*„ყველაფერი მდუმარებს : ტყე ველი კორდი მთა და მინდორი.”*

ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი

- 22) რამდენპირიანია მოცემული ზმნები: მიდის, ხტის, დგას.  
 ა) ერთპირიანი      ბ) ორპირიანი      გ) სამპირიანი
- 23) წერტილების ნაცვლად ჩასვი შესაბამისი სხვათა სიტყვის ნაწილაკი:  
*„ხომ გითხარი არ დაიშლის მაინც წავა ....“*  
 ა) თქო      ბ) მეთქი      გ) ო
- 24) ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული ?  
 ა) ძველათ      ბ) გარედ      გ) წინათ
- 25) მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით მიმღეობის მართებული ფორმა?  
*„შემოდგომის ჯერ კიდევ თბილი მიწა ..... ფოთლებს დაეფარა.“*  
 ა) ჩამოცვენილ      ბ) ჩამოგდებულ      გ) ჩამოყრილ
- 26) წინადადების რომელი წევრია ხაზგასმული სიტყვა?  
*„დილიდან მთაში თოვა დაიწყო.“*  
 ა) განსაზღვრება      ბ) პირდაპირი დამატება      გ) ადგილის გარემოება
- 27) როგორია მოცემული წინადადება აგებულების მიხედვით:  
*„დილიდანვე ჩახჩახა მზე ანათებდა დედამიწას.“*  
 ა) რთული      ბ) მარტივი      გ) შერწყმული
- 28) რომელ კილოზეა დაწერილი მოცემული ტექსტი?  
*„ – წეილე კაცო, წეილე, მოაცილე აქიდან ეგ არმად ნაშოვნი ფული. არა, არ მინდა, წეილე, ბოვშებს არ შეერგება, რაცხა გინდა ის ქენი, არ ვიცი, არა.“*  
 ა) იმერული კილო      ბ) ხევსურული კილო      გ) კახური კილო
- 29) რომელი ქცევის ფორმაა აშენებს?  
 ა) სათავისო      ბ) საარვისო      გ) სასხვისო
- 30) თანდებულები : ურთ და გან – არსებით სახელს დაერთვის :  
 ა) მიცემით ბრუნვაში      ბ) ვითარებით ბრუნვაში      გ) მოქმედებით ბრუნვაში

**ბონუს- სავარჯიშო : შემოხაზეთ სწორი პასუხი: (ა,ბ ან გ 15 ქულა)**

- რატომაა წიფელი რა ჯგუფის სახელი?  
 ა) იმიტომ, რომ წიფელი ტყეში იზრდება.  
 ბ) იმიტომ, რომ წიფელი ადამიანი არ არის.  
 გ) იმიტომ, რომ პოეტები ხშირად წიფელს ასულიერებენ.
- ჩამოთვლილთაგან მრავლობითი რიცხვი აქვს:  
 ა) კრებით სახელებს      ბ) მოქმედებით სახელებს      გ) ადამიანის საკუთარ სახელებს
- ჩამოთვლილთაგან კუმშვისას რომელი სახელის ფუძიდან ამოვარდება ო ხმოვანი უკვალოდ?  
 ა) მაწონი      ბ) ნიორი      გ) ობოლი
- რომელ ბრუნვაშია წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა:  
*„ძველი თაროს ქვეშ პატარა კარადა იდგა.“*  
 ა) ნათესაობით ბრუნვაში      ბ) მიცემით ბრუნვაში      გ) წოდებით ბრუნვაში
- უკვეცელი სახელებია:  
 ა) ო და ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელები  
 ბ) ო და უ ხმოვანზე დაბოლოებული სახელები  
 გ) ა და ი ხმოვანზე დაბოლოებული სახელები